პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 296 (10072) | ოთხშაბათი, 15 დეკემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობა

დღეს, მოსკოვში იხსნება საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობა. ეს უდიდესი მოვლენაა საბჭოთა და საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში. ყრილობამ უნდა გადაწყვიტოს მხატვრული შემოქმედების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ამო-...

...ტერატურის ინტერესები. ამ ყრილობაზე საერთო მიღწევებთან ერთად გამოვლინდა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც ჩვენს მწერლობას აქვს პროზის, პოეზიის, ლიტერატურული კრიტიკის, დრამატურგიის დარგში. ყრილობამ ქართველი მწერ-...

...ურთიერთობისა და თანამეგობრობის პირობებში.

საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობამ ცხადყო, თუ რაოდენ მახლობელია ჩვენი ხალხისათვის ლი-... ...ლებთან ერთად კვლავ ენერგიულად იბრძოლებენ ეპოქის შესაფერის მხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად და ამით ღირსეულად უპასუხებენ დიდი საბჭოთა ხალხის მაღალ სულიერ მოთხოვნებს.

## კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა მწერლებთან

1954 წლის 13 დეკემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოეწყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა მწერლებთან საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობასთან დაკავშირებით.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ნ. ა. ბულგანინმა, კ. ე. ვოროშილოვმა, ლ. მ. კაგანოვიჩმა, გ. მ. მალენკოვმა, ა. ი. მიქოიანმა, ვ. მ. მოლოტოვმა, მ. გ. პერვუხინმა, მ. ზ. საბუროვმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა, პ. ნ. პოსპელოვმა, მ. ა. სუსლოვმა, ნ. ნ. შატალინმა, საბჭოთა მწერლების კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელმა მუშაკებმა, რუსული, უკრაინული, ბელორუსული, უზბეკური, ყაზახური, ქართული, აზერბაიჯანული, ლიტვური, ლატვიური, ყირგიზული, ტაჯიკური, სომხური, თურქმენული და ესტონური ლიტერატურების წამყვანმა მწერლებმა. (საქდესი).

## დღეს იხსნება საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა

დღეს, 15 დეკემბერს, მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში იხსნება საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა. საბჭო-...

...პრობლემები", „მსოფლიოს თანამედროვე პროგრესული ლიტერატურა". ყრილობა განიხილავს და დაამტკიცებს ახალ წესდებას და ...

(საქდესი).

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის

## დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის კოლმეურნეთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა საპასუხო წერილი საქართველოს სსრ დუშეთის რაიონის მეცხოველეებისადმი

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენ, დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, უდიდესი სიხარულის გრძნობით ვიღებთ თქვენს გამოწვევას სოციალისტურ შეჯიბრებაში 1955 წელს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

ამ გულთბილ, მაღალი ჰუმანიზმით გამსჭვალულ გამოწვევაში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის მკაფიო გამოვლინებას. ჩვენ სიყვარულისა და პატივისცემის უაღრესად მაღალი გრძნობით ვართ გამსჭვალული მოძმე ქართველი ხალხისადმი და უსაზღვროდ ვამაყობთ იმით, რომ მზიური საქართველოს მშრომელებმა ...

ამხ. ისლამოვმა, ამ კოლმეურნეობის უფროსმა მწყემსმა ამხ. პოკალოვმა მეცნიერ მუშაკებთან და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან თანამშრომლობით გამოიყვანეს ცხვრის ახალი ჯიში — „დაღისტნური მთის" ჯიში, ...



გუნიბის რაიონის სოფელ ჩოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. მ. მურილოვი აცნობს დუშეთის რაიონის კოლმეურნეების, მექანიზატორებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების წერილს გუნიბის რაიონის მეცხოველეებისადმი. ფოტო ვ. სლეპიშევისა.

ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეები საქმის ცოდნით ნერგავენ წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევებს და ამ საფუძველზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მწყემსმა პოკალოვმა „დაღისტნური მთის" ჯიშის ერთი ცხვრის ნაპარსი ...

...სა და დედათხისა — 75.000 სულამდე; ცხენისა — 2.700 სულამდე; ფრინველისა — 2.600 ფრთამდე. იალაღზე გავასუქოთ 21.000 სული ცხვარი და თხა, 1.400 სული მსხვილფეხა პირუტყვი;

საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მივიღოთ 800 კილოგრამი რძე, ერთ ...

3,2 კილოგრამი, ნახევრადმქისემატყლიანზე — 3 კილოგრამი და მქისემატყლიანზე — 1,8 კილოგრამი;

პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის ზრდის უზრუნველყოფის და მისი ჯიშიანობის გაუმჯობესების მიზნით ხელოვნურად დავთესლოთ: 2.800 ძრო-...

ჩვენ ვიზრუნებთ ... შევქმნათ საკვების მტკიცე ბაზა მეცხოველეობისათვის, ყველა საკოლმეურნეო ფერმაში პირუტყვისათვის საკვების ნიცემა ვაწარმოოთ ზუსტად რაციონის მიხედვით, ამასთან წინასწარ დავამუშაოთ ...

...წეთ. მთელი რესპუბლიკისათვის ცნობილი არიან სოფელ ჩოხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა და სოფელ სოგრატლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა — 1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი. სოფელ ჩოხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ...

...იმას, რომ ყოველ 100 დედა-პირუტყვზე მივიღოთ: ხბო — 85, კვიცი — 60, ბატკანი და თიკანი — 100;

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობა ავიყვანოთ 12.000 სულამდე, აქედან ძროხისა — 3.600 სულამდე; ცხვრისა და თხისა — 170.000 სულამდე, აქედან დედაცხვრი-...

...მეცხოველეობის ყველა ნაგებობის რემონტი და მომზადება ზამთრის ზაგური პერიოდისათვის; დამატებით ავაშენოთ 1955 წელს პირუტყვის 8 ბინა 700 სულის, 10 ფარეხი 10.000 სულის, 3 სახბორე 300 სულის ტევადობისა, 2 საფრინველე, 10 სილოსის კოშკი 500 ტონის ტევადობისა, 2 არტეზიული ჭა.

...ო. ცომაევა — სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი ზოოტექნიკოსი, მ. მაჰომედოვი — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, შ. საიდოვა — საკავშირო ალკკ რაიკომის მდივანი, ა. ასმალოვი — რაიონულ გაზეთ „ახალი გუნიბის" რედაქტორი.

## ორი დიდი ხალხის ურღვევი მეგობრობის დემონსტრაცია

### ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი დიდ თეატრში

ასეულ ათასობით მოსკოველი და დედაქალაქის სტუმარი, საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქისა და სოფლის მცხოვრებნი ისმენდნენ 13 დეკემბერს რადიოთი ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტს, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრიდან გადასცემდნენ.

თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. კონცერტის დაწყების წინ შესრულდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. სტუმრებს მიესალმა გამოჩენილი საბჭოთა მსახიობების დელეგაცია — ბ. ა. ალექსანდროვი, ლ. ვ. ბარათოვი, ე. ნ. გოგოლევა, ვ. გ. ...

...ხის ყვავილობა", სოლოვიოვ-სედოის „კომკავშირული". ფორტეპიანოს პარტია შეასრულა ლინ შუ-პინმა. მშვენიერი ხმა აქვს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეოთხე საერთაშორისო (ბუქარესტის) ფესტივალის ლაურეატს ლოუ ციან-გუის. მან საუცხოოდ იმღერა ლენსკის არია პ. ჩაიკოვსკის ოპერიდან „ევგენი ონეგინი" და ჩინური ხალხური სიმღერა „ჩაუსვლელი მზე". აკომპანემენტს ასრულებდა დაი ძინ-ხუა.

დამსახურებული წარმატება ჰქონდა 11 კაცისაგან შემდგარ ქალთა გუნდს. აკორდეონისტის ვან ბი-იუნის აკომპანემენტით დიდი აღფრთოვანებით შესრულებულ იქნა კომპოზიტორ ...

(საქდესი).

# სრულვყოთ პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდები

## სტალინის რაიონის XXVI პარტიულ კონფერენციაზე

სტალინის რაიონი რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი დიდი რაიონია, სადაც ათობით საწარმო, რამდენიმე ინსტიტუტი და შემოქმედებითი ორგანიზაცია მუშაობს. ეს მნიშვნელოვან ამოცანებს უყენებს რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს.

სწორედ ამ დიდი პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის ვითარებაში ჩაიარა სტალინის რაიონის XXVI პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში შედგა. საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. პეტრიაშვილმა.

### სწორად შევახამოთ პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობა

პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამებით, აღინიშნა კონფერენციაზე, რაიონის პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტ გავლენას ახდენენ საწარმოების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების საქმიანობაზე. საანგარიშო პერიოდში რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა რამდენადმე გააუმჯობესეს მასებში პოლიტიკური მუშაობა. ამან ხელი შეუწყო სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. რაიონის სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის გეგმა 104,4 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცეს 30.379 ათასი მანეთის მზა ნაწარმი.

დელეგატებმა მოიყვანეს საწარმოებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის უნარიანად მოწყობის მაგალითები. კერძოდ, ამის შესახებ ილაპარაკა მაუდ-კამვოლის კომბინატის პარტბიუროს მდივანმა ამხ. შ. გურგენიძემ. აქ საავიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევიან საწარმოს საუკეთესო ადამიანები, ნოვატორები. პოლიტიკური აგიტაციის ძირითად შინაარსს, მის მთავარ ამოცანას შეადგენს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა და პრაქტიკაში დანერგვა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება.

მაგრამ სტალინის რაიონს უკეთესი მაჩვენებლები ექნებოდა, მას უკან რომ არ ეწეოდნენ ჩამორჩენილი საწარმოები. ერთ-ერთი ასეთი საწარმოა საქშენის სამრეწველო კომბინატი. ჩამორჩენა იმითაც არის გამოწვეული, რომ კომბინატის პარტიულმა ორგანიზაციამ ხელი აიღო მასებში პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობაზე. ზეტონის საამქროში აგიტატორად გამოყოფილია ამხ. რაზმაძე, რომელსაც უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში გაზეთიც კი არ წაუკითხავს.

კონფერენციის დელეგატებმა მოითხოვეს, რომ რაიკომი და პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად ჩასწვდნენ საწარმოთა ცხოვრების ყველა დეტალს, თავის დროზე მიუთითონ ნაკლოვანებებზე, აწარმოონ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა მასებში, სათავეში ჩაუდგნენ შეჯიბრებას შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

### გავაუმჯობესოთ კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის გასაუმჯობესებლად. სწორდება

პარტიულ განათლებაში დაშვებული დამახინჯებანი: ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევა, კომუნისტთა პოლიტიკური თვითგანათლების მეთოდის შეუფასებლობა. მიმდინარე სასწავლო წელს ხუთჯერ გადიდდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტთა რაოდენობა. გაუმჯობესდა პროპაგანდისტთა შემადგენლობა. ამასთან უნდა ითქვას, რომ რაიონის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობს იდეოლოგიურ მუშაობას მასებში. ზოგან კომუნისტთა პოლიტიკური თვითგანათლების საქმე თვითდინებაზეა მიშვებული. მაგალითად, კინოსტუდიის პარტიულ ორგანიზაციაში 25 კომუნისტი აქამდე არ შესდგომია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესწავლას. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა კი მიიჩნიეს, რომ ნებაყოფლობის პრინციპი თითქოს გამორიცხავს კომუნისტთა პოლიტიკური თვითგანათლებისადმი სისტემატურ ხელმძღვანელობას.

პროპაგანდისტთა თეორიული დონისა და მეთოდური ოსტატობის ამაღლებისათვის რაიკომმა ჯერ კიდევ ცოტა რამ გააკეთა. თავიანთ გამოსვლებში დელეგატებმა გააკრიტიკეს პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა. ეს საქმე მინდობილი ჰქონდა პარტიულ ბიბლიოთეკას. სემინარების მეცადინეობა მოდუნებულად, უსიცოცხლოდ ეწყობა, არ წარმოებს ამხანაგური დისკუსია და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სემინარების მეცადინეობაზე ერთხელაც არ გამოსულან რაიკომის მდივნები და განყოფილებათა გამგეები.

კონფერენციის დელეგატებმა მოიყვანეს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ რაიკომი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ლექციების იდეურ-პოლიტიკურ შინაარსს. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ს. კვაჭაძემ განაცხადა, რომ ხშირად რაიკომისა და საქალაქო კომიტეტის ლექტორები დაბალხარისხოვან ლექციებს კითხულობენ. არის ლექციების ჩაშლისა და გადადების შემთხვევებიც. ნოემბერში საქალაქო კომიტეტის ლექტორმა ამხ. კვიციანაძემ რაიონის პარტიული აქტივისათვის წაიკითხა ლექცია თემაზე „კრიტიკა და თვითკრიტიკა“. ლექტორმა ეს თემა 30 წუთში „ამოწურა“, ამასთან არც ერთი ცოცხალი მაგალითი არ მოუყვანია.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა მწვავედ გააკრიტიკეს ინსტიტუტებისა და შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი. ეს ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმითაც არის გამოწვეული, რომ პარტიული ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ შემოქმედებითი მუშაკებისა და ინსტიტუტების კოლექტივების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, ფართოდ არ აჩაღებენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას. საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ამხ. ნ. ლანდიამ აღნიშნა, რომ რაიკომი ნაკლებ დახმარებას უწევს სამეცნიერო დაწესებულებათა პარტიულ ორგანიზაციებს. ჩვენთან, — განაცხადა მან, — რაიკომის მუშაკები ხშირად ესწრებიან ინსტიტუტის საერთო პარტიულ კრებას, მაგრამ მე ისინი არასოდეს არ მინახავს საფაკულტეტო პარტიული ორგანიზაციების კრებებზე.

### გავაძლიეროთ პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა

პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჩვენი პარტიის საფუძველია. ამიტომ გასაგებია ის დიდი ყურადღება, რომელიც კონფერენციამ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების საკითხს დაუთმო.

კონფერენციაზე გამოირკვა, რომ საანგარიშო პერიოდში ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ცუდად მუშაობდა. ასეთები არიან, მაგალითად, სამტრესტის ხე-ტყის ქარხნის, თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ავტობაზის, ხილეულის წყლების ქარხნის და პურის პირველი მექანიკური საცხობის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ურიგდებიან ნაკლოვანებებს თავიანთ საწარმოთა მუშაობაში. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე პარტორგანიზაციების მდივნებად აღარ აირჩიეს 58 ამხანაგი. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ რაიკომი ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობს და სათანადოდ არ ეხმარება პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, სისტემატურად არ აწყობს მათთვის სემინარებს და საინსტრუქტაჟო თათბირებს.

— უნდა აღინიშნოს, — განაცხადა თავის გამოსვლაში საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს პარტბიუროს მდივანმა ამხ. ბ. ტატარინოვმა, — რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუშაობას რაიკომი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. რაიკომის მუშაკები მხოლოდ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გვესწრებიან. სამაგიეროდ ხშირად გვეძახიან რაიონულ კომიტეტში ამა თუ იმ საკითხზე და საათობით გვალოდინებენ იქ.

დელეგატებმა ყურადღება გაამახვილეს აგრეთვე კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა საკითხებზე.

რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო. არჩეულია რაიკომის ახალი შემადგენლობა. კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაძლიერებისაკენ.

* * *

შედგა რაიკომის პლენუმი. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ვ. პეტრიაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ვ. ჯავახიშვილი, მდივნად — ამხ. ე. ალანია.


ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: აფხაზეთის ასსრ სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. (მარცხნივ) მებოსტნეობის პავილიონი, (მარჯვნივ) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პავილიონი. ფოტო გ. ალანიასი და გ. ალპერტისა.

# სოფლის მეურნეობის მიღწევათა დემონსტრაცია

## აფხაზეთის ასსრ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ხელმძღვანელობენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით, აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ამაღლების, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის გადიდების საქმეში.

მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მეცხოველეობის ფერმებისა და ცალკეული ნოვატორების მდიდარი გამოცდილების ფართოდ გავრცელება შემდგომი წარმატებების საწინდარია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აფხაზეთის ასსრ სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც ამას წინათ გაიხსნა სოხუმში. გამოფენა ოლქის სოფლის მეურნეობის მიერ მოპოვებული სერიოზული მიღწევების დათვალიერებას წარმოადგენს.

გამოფენაში მონაწილეობს 21 კოლმეურნეობა, 5 საბჭოთა მეურნეობა, გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკა, 5 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, 1 მანქანა-ტრაქტორთა სადგური და ასობით ცნობილი ნოვატორი. წარმოდგენილი ექსპონატები, დიაგრამები, ფოტოდოკუმენტები ნათელყოფენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიღწევებს მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში.

გამოფენაზე ვრცლად წარმოდგენილი არიან გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობები. როგორც დიაგრამებიდან ჩანს, რაიონში წლითიწლობით იზრდება მექანიზაციის დონე. თუ 1943 წელს იყო 31 ტრაქტორი და 1949 წელს — 35, ამჟამად არის 43 ტრაქტორი. განუხრელად იზრდება კოლექტიურ მეურნეობათა ეკონომიკა.

შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების შედეგად მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ილიჩის სახელობის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობამ. მნახველთა ყურადღებას იპყრობს ამ მეურნეობის პავილიონი, სადაც ნაჩვენებია, რომ თვითეულ მსხმოიარე ხეზე ყოველწლიურად მეტ ნაყოფს იღებენ. 1950 წელს სახელმწიფოს ჩააბარეს ციტრუსოვანთა 900 ათასი ცალი ნაყოფი, 1952 წელს 6,5 მილიონამდე ცალი, ხოლო 1953 წელს — 16,3 მილიონი ცალი. წელს უფრო მეტ მოსავალს იღებენ. აქვეა მეურნეობაში გამოყვანილი სხვადასხვა ჯიშის ციტრუსოვანთა ნარგავები.

მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს გაგრის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მაჩვენებლები. ეს მეურნეობა კურორტ გაგრას წლითიწლობით უფრო მეტ ბოსტნეულსა და მეცხოველეობის პროდუქტებს აწვდის. წელს აქ ღია გრუნტში მოყვანილია 5.130, ხოლო დახურულ გრუნტში 700 ცენტნერი ბოსტნეული. საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 5.300 კილოგრამი რძე.

ყურადღებას იპყრობენ ოჩამჩირის რაიონიდან წარმოდგენილი სოფლების ქოჩარის სტალინის სახელობის, ჯგერდის წერეთლის სახელობის და მეორე ათარის მიქოიანის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობები. მარტო ქოჩარელებმა წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 1.178 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

დამთვალიერებლები დიდი ინტერესით ეცნობიან გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის და სოფელ ქვემო ბარღების სტალინის სახელობის კოლმეურნეობების მიღწევებს. ოქუმელებმა წელს გეგმის გადამეტებით ჩააბარეს სახელმწიფოს 63,7 ტონა ჩაის ნედლეული, საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 5.018 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ცალკეულმა ბრიგადებმა და ნოვატორებმა უფრო მეტი წარმატებანი მოიპოვეს. ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ჩოქოლი ქვაჩახია ხელმძღვანელობს, 12 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 7 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო ჩაის კრეფის ოსტატმა ნათელა ბულისკერიამ მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარზე — 12.000 კილოგრამი.

გამოფენის დამთვალიერებლები რწმუნდებიან იმაში, რომ აფხაზეთში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული მებოსტნეობისა და მეკარტოფილეობის შემდგომი განვითარებისათვის. მაგალითად, 1950 წელთან შედარებით 1954 წელს ბოსტნეული კულტურების მაღალი მოსავალი მოიყვანეს 70,7 პროცენტით, ხოლო კარტოფილისა — 33,3 პროცენტით მეტ ფართობებზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ მოსავლიანობაც საგრძნობლად ამაღლდა. მნახველთა ყურადღებას იპყრობს აგრონომ შ. ჯალაღონიას მიერ გამოყვანილი საზამთრო „კომკავშირელი“, რომელიც 22,6 კილოგრამს იწონის.

მეცხოველეობის პავილიონის დათვალიერება ცხადყოფს, რომ ყველა პირობა არსებობს ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის. მოწონებას იმსახურებს აქ წარმოდგენილი ჯიშიანი ღორი, რომელიც 4 წლისაა და 435 კილოგრამს იწონის. ეს ჯიში გამოყვანილია გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში. აქვეა ამავე რაიონის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მწარმოებელი ბუღა „ზალპი“, რომელიც 3 წლისაა და 985 კილოგრამს იწონის.

მაგრამ გამოფენას ნაკლოვანებებიც აქვს. შედარებით სუსტად წარმოდგენილია გაგრისა და გუდაუთის რაიონების კოლმეურნეობები, იგრძნობა სივიწროვე, ცალკეული პავილიონები ცუდად არის გაფორმებული, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მიღწევები მკრთალად არის ნაჩვენები. უკეთესად შეიძლებოდა ექსპონატების, სტენდებისა და დიაგრამების განლაგება.

**გ. წირღვავა,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# იდეოლოგიური მუშაობის მაღალი დონე წარმატებათა საწინდარია

კომუნისტური პარტია მთელ თავის პრაქტიკულ საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრებით. პარტიის XIX ყრილობამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის საკითხებზე და ამოცანად დასახა გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ იდეოლოგიური შეცდომებისა და დამახინჯებებისადმი უზრუნველი დამოკიდებულების წინააღმდეგ, სისტემატურად ვამაღლოთ და სრულვყოთ პარტიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური მომზადება, მაღალ დონეზე დავაყენოთ მშრომელთა კომუნისტური აღზრდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე ყვარლის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს იდეოლოგიური მუშაობა. პარტიის რაიკომმა წელს ჯერ კიდევ ივლისში მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის. წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტებისას მხედველობაში იქნა მიღებული თვითეული კომუნისტის სურვილი, მისი ცოდნის დონე და მუშაობის პირობები. კომუნისტებისადმი ინდივიდუალურმა მიდგომამ ხელი შეუწყო ნებაყოფლობის პრინციპის მტკიცედ დაცვას. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა. ახლა უფრო მეტი ყურადღება ექცევა პარტიული სწავლების იდეურ დონეს, პროპაგანდისტებთან მუშაობას. პროპაგანდისტებად გამოყოფილი არიან ამ საქმის მოყვარული და თეორიულად მომზადებული ამხანაგები.

ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია უნარიანად ხელმძღვანელობს საავიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას, კარგად აწყობს წრეებისა და პოლიტსკოლების მეცადინეობას. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი შ. კეველიშვილი). აქ შექმნილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე, რომელშიც 20 კაცია გაერთიანებული. კომუნისტებთან ერთად წრეში ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას დიდი მონდომებით სწავლობენ უპარტიო კოლმეურნეებიც. საკუთარ თავზე ბეჯითი მუშაობა და იდეურ-პოლიტიკური დონის განუხრელი ამაღლება დიდად ეხმარება მათ სამეურნეო ამოცანების წარმატებით შესრულებაში. წრის მოწინავე მსმენელები არიან კოლმეურნეობის ბრიგადირები ე. იმერლიშვილი, გ. მჭედლიშვილი, დ. იორდანიშვილი. ისინი სისტემატურად ესწრებიან მეცადინეობას, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ცალკეული თემების განხილვაში, მეცადინეობაზე დაყენებულ საკითხებს განმარტავენ მოფიქრებულად და შინაარსიანად, ამა თუ იმ საკითხის გაშუქებისას მოჰყავთ ცოცხალი, საინტერესო მაგალითები თავიანთი კოლმეურნეობის, ბრიგადების მუშაობიდან. წრეში ნაყოფიერმა მეცადინეობამ ხელი შეუწყო მათ დაწინაურებას შრომაში. გ. მჭედლიშვილის ბრიგადამ 133 ჰექტარი პურეულის ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 18,5 ცენტნერი ხორბალი მიიღო. ასეთივე მაღალი მოსავალი მიიღეს ბრიგადირებმა დ. იორდანიშვილმა და ე. იმერლიშვილმა. სამივე ბრიგადამ ოქტომბრის დასაწყისისათვის მთლიანად დაამთავრა სიმინდის მოსავლის აღება, პარალელურად მოაწყო ნაკვეთების გაწმენდა და ვადამდე ჩაატარა საშემოდგომო ხვნათესვა აგროტექნიკური წესების ზუსტად დაცვით.

კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის გამგე კომუნისტი ი. გვიმრაძე ერთ-ერთი მოწინავე მსმენელია პოლიტსკოლაში, მეცადინეობაზე ყოველთვის მომზადებული ცხადდება და აქტიურ მონაწილეობას იღებს თეორიულ საუბრებში. იგი ყურადღებით კითხულობს ახალ გაზეთებს და ჟურნალებს, ფერმის მუშაკებს საინტერესოდ ესაუბრება მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესახებ. მწყემსებსა, მომვლელებსა და მწველავებს შორის კარგად დაყენებულმა ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი სამეურნეო წარმატებათა მოპოვებას. წელს ძროხების წველადობა წინა წელთან შედარებით 25 პროცენტით გაიზარდა. მეცხოველეობის ფერმა ყოველმხრივ მზად არის ზამთრისათვის, ადგილზე მიტანილი და დაზვინულია საკმაო საკვები.

ენისელის მტს-ის პარტიულ ორგანიზაციასთან მეორე წელია მუშაობს პოლიტსკოლა. აქ ბეჯითი სწავლით სხვებთან ერთად გამოირჩევა ცნობილი კომბაინერი ნ. კურდღელაშვილი. მან ღრმად შეისწავლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებები. საკუთარ თავზე სისტემატურმა მუშაობამ და პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლებამ უფრო ნაყოფიერი გახადა კომბაინერის შრომა. წელს ნ. კურდღელაშვილმა კომბაინით შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აიღო პურეული, ხოლო საშემოდგომო ხვნა-თესვა ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა რაიონში.

სისტემატურად ხელმძღვანელობს იდეოლოგიურ მუშაობას ყვარლის მტს-ის პარტიული ორგანიზაცია. აქ კარგად აქვთ შეგნებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მექანიზატორთა იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას. მტს-ის მოწინავე სატრაქტორო ბრიგადების ხელმძღვანელები ი. ლოლიაშვილი და პ. მოდებაძე პოლიტსკოლაში მეცადინეობენ. ისინი გულდასმით სწავლობენ პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს, ღრმად ერკვევიან პარტიისა და მთავრობის მიერ მექანიზატორთა წინაშე დასახულ ამოცანებში, კითხულობენ ახალ გაზეთებსა და ჟურნალებს. პოლიტსკოლაში მიღებულ თეორიულ ცოდნას ისინი უნარიანად იყენებენ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში. სატრაქტორო ბრიგადებმა, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, აგროტექნიკურ ვადებში შეასრულეს საშემოდგომო ხვნათესვის გეგმა, ამასთან მნიშვნელოვანი ფართობი ჯვარედინად დათესეს.

პოლიტიკური აგიტაცია მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებაა. პარტიის რაიკომი ჯეროვან ყურადღებას აქცევს საავიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებას. რაიონში შექმნილია 22 აგიტკოლექტივი, რომლებშიც 365 აგიტატორია გაერთიანებული. პარტიის რაიკომი ყოველ 2-3 თვეში იწვევს აგიტატორთა რაიონულ და ზონალურ თათბირებს, სადაც დაწვრილებით განუმარტავს მათ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს. თვეში ერთხელ ეწყობა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების სემინარი. პარტიული ორგანიზაციების მხრივ კონკრეტული დახმარებისა და ხელმძღვანელობის შედეგად ბევრი აგიტკოლექტივი კარგად მუშაობს.

უნარიანად წარმართავს საავიტაციო-მასობრივ მუშაობას, მაგალითად, სოფელ გავაზის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. აგიტკოლექტივს, რომელშიც 25 აგიტატორია გაერთიანებული, პარტიული ორგანიზაციის მდივანი დ. იმედაშვილი ხელმძღვანელობს. აგიტატორებად შერჩეული არიან სოფლის აქტივისტები, კომუნისტები და კომკავშირელები. ყოველი თვის პირველ და 15 რიცხვებში იმართება აგიტატორთა სემინარები, სადაც განიხილავენ პოლიტიკური აგიტაციის აქტუალურ საკითხებს, ეწყობა ლექციები და მოხსენებები, ხდება მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების ურთიერთ-გაზიარება. აგიტატორები გ. მოსულიშვილი და შ. კაციაშვილი მეხუთე ბრიგადაში მართავენ საუბრებს. ისინი თითქმის ყოველდღე კოლმეურნეებთან არიან, მოუთხრობენ მათ ახალ ამბებზე, განუმარტავენ პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. წელს ბრიგადამ 130 ჰექტარი პურეულის ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა. ასეთივე მაღალი მოსავალი მიიღო მეოთხე ბრიგადამ, სადაც აგიტატორებად არიან მ. იორამიშვილი და ლ. ჯანაშვილი.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ყვარლის რაიონში იდეოლოგიურ მუშაობაში ყველაფერი რიგზეა. საჭიროა აღინიშნოს, რომ რაიონის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯეროვნად არ აფასებს იდეოლოგიური მუშაობის როლს, ყურადღებას არ აქცევს წრის, პოლიტსკოლის, აგიტკოლექტივის საქმიანობას. იმის გამო, რომ სოფელ ენისელის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად არ ხელმძღვანელობს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეს, ზოგიერთი კოლმეურნე თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას. ამ პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი პოლიტსკოლა მოკლებულია სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას. კომუნისტების ერთი ნაწილი ხშირად აცდენს მეცადინეობას, ხოლო მეორე ნაწილი, მართალია, მეცადინეობას ესწრება, მაგრამ მოუმზადებელი მოდის და ნაკლებ აქტივობას იჩენს საკითხების განხილვაში. აგიტატორთა დიდი უმრავლესობა არაფერს აკეთებს, არ მიდის ბრიგადებში და მეცხოველეობის ფერმებში საუბრების მოსაწყობად.

იდეოლოგიური მუშაობის ასეთმა შეუფასებლობამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ კოლმეურნეობა შეუწყნარებლად ჩამორჩა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. წელს აქ ხორბლის, სიმინდისა და ყურძნის ძალიან დაბალი მოსავალი მიიღეს.

ასევე არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს იდეოლოგიურ მუშაობას სოფელ მთისძირის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია. პარტიული ორგანიზაციის მდივანი ქ. გელაშვილი ამ საქმით სრულებით არ არის დაინტერესებული. კომუნისტები, რომლებმაც თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი გამოთქვეს, არაფერს აკეთებენ, ხოლო კონსულტანტი გ. ღლონტი მათ არავითარ დახმარებას არ უწევს. საავიტაციო მუშაობა ჩაშლილია. წელს პარტიულ კრებებზე არც ერთხელ არ ყოფილა განხილული საავიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის საკითხები.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ პარტიის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებისა და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ყვარლის განყოფილების ლექტორები. რაიკომის ლექტორებს ვ. სუხიტაშვილს, მ. მამალაძეს წელს არც ერთი ლექციის ტექსტი არ წარუდგენიათ განსახილველად. კულტურის განყოფილების 25 ლექტორიდან ათს აქამდე ერთხელაც არ წაუკითხავს ლექცია.

იმის გამო, რომ პარტიული ორგანიზაციები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ, ბევრ სასოფლო კლუბში (სანავარდო, ოქტომბერი, მთისძირი, საბუე) ჩაშლილია მუშაობა.

ნოემბერში პარტიის რაიკომის პლენუმზე განხილულ იქნა საკითხი „იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. საავიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებს დიდი ყურადღება დაეთმო პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე. ჩვენი მოვალეობაა სასწრაფოდ გამოვასწოროთ იდეოლოგიურ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები.

პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ის, რომ ფართოდ გაშალონ პოლიტიკური აგიტაცია მოსახლეობაში და უზრუნველყონ სახალხო სასამართლოების არჩევნების წარმატებით ჩატარება. ამ მხრივ საჭიროა კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობა აგიტპუნქტებმა. ამომრჩევლებისათვის სისტემატურად უნდა მოეწყოს საუბრები, ლექციები, მოხსენებები სსრ კავშირის კონსტიტუციის, საბჭოთა სასამართლოს დემოკრატიული პრინციპების, საბჭოთა რევოლუციური კანონიერების შესახებ. ამომრჩეველთა კულტურული მომსახურებისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები.

ყვარლის რაიონის პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ამ საფუძველზე სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის.

**ა. ავაზაშვილი,**
საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობისათვის

# ღირსეულად ავსახოთ ჩვენი ხალხის მჩქეფარე ცხოვრება

★ ★ ★

## შემოქმედებითი აღმავლობის გზით

აფხაზეთის მწერლები თვალსაჩინო მიღწევებით ხვდებიან მწერალთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობას.

მიმდინარე წელს აფხაზეთის მწერლებმა გამოაქვეყნეს მრავალი საყურადღებო ნაწარმოები, მათ შორის აღსანიშნავია ი. პაპასკირის „ერცახუს ძირას“, ფ. დგებუაძე-ფულარიას „ტყვარჩელის ნათურები“, დ. დარსალიას — მოთხრობები და პიესები, ჯ. გოგიავას — მოთხრობების კრებული, ზ. ნაყოფიას — „პირველი დღე“ და „ენგურის პირას“, კ. ლომიას — „მიწის ვარსკვლავები“, აგრეთვე მ. ქოიავას და დ. გიგიბერიას ლექსების კრებულები; ამ დღეებში გამოვა ი. თარბას ახალი ლექსების კრებული.

რუსულ ენაზე მეორედ გამოვიდა ი. პაპასკირის რომანი „ხანგრძლივი სიცოცხლე“.

გამომცემლობა „ახალგაზრდა გვარდია“ რუსულ ენაზე სცემს ა. ლასურიას მოთხრობების კრებულს. ეს მეექვსე წიგნია, რომელიც აფხაზეთის მწერლებმა 1953-1954 წლების მანძილზე გამოსცეს მოსკოვში რუსულ ენაზე.

ამ წლის დამდეგს აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა ალმანახი № 6; წლის ბოლომდე გამოვა ალმანახის მეშვიდე ნომერი.

საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობის შესახვედრად აფხაზეთის მწერლებმა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გააუმჯობესეს თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობა და ამჟამად მუშაობენ მთელი რიგი ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად.

აფხაზეთის სახალხო პოეტმა დ. გულიამ ახლახან დაამთავრა პოემა „ჩემი კერა“, რომელიც მიძღვნილია აფხაზი ხალხის წარსულისადმი. ი. პაპასკირმა მოამზადა ახალი მოთხრობების კრებული. ვ. დუდუჩავა ამთავრებს ახალ რომანს. პოეტი ი. თარბა მალე გამოაქვეყნებს პოემას, რომელიც ასახავს ტყვარჩელის მაღაროელთა ცხოვრებას და მათს მეგობრობას დონბასის მეშახტეებთან. შ. აკობია მუშაობს ახალ ლექსებზე. ა. ლასურია წერს აფხაზეთის კოლმეურნეობების ცხოვრებიდან ნარკვევების წიგნს. კრიტიკოსი შ. ინალ-იფა გამოსაცემად ამზადებს აფხაზეთის ლიტერატურის ისტორიის ნარკვევებს.

მიმდინარე წლის დასაწყისში საქართველოს საბჭოთა მწერლების აფხაზეთის განყოფილებამ მოაწყო აფხაზეთის მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა საერთო კრებები. ამ კრებებზე განხილულ იქნა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის XIV პლენუმის შედეგები — „საბჭოთა დრამატურგიის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ“. კრებებზე გამოირკვა, რომ სოხუმის თეატრის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების მთავარი მიზეზია თანამედროვე საბჭოთა თემატიკაზე დაწერილი კარგი პიესების უქონლობა. გამოვლინდა ნაკლოვანებანი ცალკეული პიესებისა, რომლებიც დადგა სოხუმის დრამატულმა თეატრმა. ამ მხრივ მდგომარეობა ნაწილობრივ სწორდება.

უკანასკნელ ხანებში ლიტერატურული კრიტიკის დარგში შემჩნეულია გამოცოცხლება, რასაც მოწმობს ამ ბოლო დროს საოლქო პრესაში გამოქვეყნებული სტატიები.

მაგრამ ყველაფერი ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აფხაზეთის განყოფილებას სერიოზული ნაკლოვანებები არ ჰქონდეს.

აფხაზეთის ლიტერატურის ზოგიერთი ჟანრის ჩამორჩენილობა აიხსნება პირველ რიგში მწერლების მიერ საბჭოთა მრავალფეროვანი ცხოვრების ზერელე ცოდნით, მწერლების დაბალი ოსტატობით. ცხოვრების უცოდინარობა და პრიმიტივიზმი საგრძნობია როგორც პროზაში, ისე პოეზიაში.

საგრძნობლად ჩამორჩება საბავშვო ლიტერატურა. ჩვენი მწერლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ლიტერატურის ამ მნიშვნელოვან უბანს. ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის მწერლების წინაშე დგება საკითხი აფხაზურ ენაზე საბავშვო ლიტერატურის თარგმნის შესახებ რუსული და სხვა მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ლიტერატურიდან.

აფხაზეთის ლიტერატურულ ცხოვრებაში დადებით ფაქტად უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების გამოჩენა. ჩვენი მწერალთა ორგანიზაციის ამოცანაა ყოველდღიურად იზრუნოს ახალგაზრდა მწერალთა კადრების აღზრდისათვის. ამ მხრივ ჩვენი მუშაობა ჯერ კიდევ ვერა დგას სასურველ დონეზე.

მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილება მუდმივ დახმარებას საჭიროებს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისაგან. მაგრამ მთელ ყრილობისწინა პერიოდში საქართველოს მწერალთა კავშირს ერთხელაც არ უმსჯელია აფხაზეთის განყოფილების საქმიანობაზე.

ოცი წლის მანძილზე აფხაზეთში, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში, მწერლები მნიშვნელოვნად გაიზარდნენ. თუ 1934 წელს ჩვენი ორგანიზაცია 7 წევრისაგან შედგებოდა, ახლა მათი რიცხვი 20-მდე აღწევს, ახალგაზრდა ავტორების ჩაუთვლელად. ცხადია, რომ მწერალთა ორგანიზაციის მიმართაც შესაბამისად გაიზარდა მოთხოვნილება, ჩვენი ორგანიზაციის სტრუქტურა კი არ შეცვლილა. საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილება აერთიანებს მწერლებს, რომლებიც სამ ენაზე წერენ — აფხაზურად, ქართულად და რუსულად. ისმება კითხვა: როგორღა ვაწარმოოთ მუდმივი მუშაობა სამ ენაზე მომუშავე მწერლებთან, თუ განყოფილების შტატში ითვლება მხოლოდ ერთი შემოქმედი მუშაკი — პასუხისმგებელი მდივანი.

მოკლე ხანში აფხაზეთში დაიწყებს გამოსვლას ორთვიური ლიტერატურული ჟურნალი. ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება ხელს შეუწყობს აფხაზეთის ლიტერატურის შემდგომ განვითარებას. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ეს ორგანო გადაიქცეს აფხაზეთის ლიტერატურული ცხოვრების ცენტრად.

თითოეული მწერალი მოვალეა ყოველდღიურად გრძნობდეს პასუხისმგებლობას იმ დიდი ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც დაკისრებული აქვს ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურას. ჩვენ მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოებებით უნდა ვუპასუხოთ იმ დიდ ზრუნვას, რასაც ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად უწევენ ლიტერატურას და მის მოღვაწეებს.

**გ. შინკუბა,**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.





ქართველი მწერლების ახალი წიგნები, გამოცემული 1954 წელს.

★

## სამხრეთ ოსეთის მწერლობა

საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობიდან განვლილ პერიოდში ახალი წარმატებანი მოიპოვა ოსურმა ეროვნულმა ლიტერატურამ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა მწერალმა კოსტა ხეთაგუროვმა.

მწერალთა პირველი ყრილობისათვის ოსურ ლიტერატურაში შექმნილი არ იყო არც ერთი რომანი. 20 წლის მანძილზე განვითარდა ოსური საბჭოთა რომანი. სოფლის კოლექტივიზაციის თემას, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას მიუძღვნა მწერალმა ე. ბეკოევმა თავისი ტრილოგია „ფატიმათი“. გამოვიდა ამ რომანის პირველი ორი წიგნი, ამჟამად მწერალი მუშაობს მესამე წიგნზე. ფართო მკითხველთა მოწონება დაიმსახურა მწერალ დ. ჯიოევის რომანმა „უძლეველი ძალა“.

წარმატებით მუშაობდა განსვენებული პოეტი-დრამატურგი მუხთარ შავლოხოვი. სამხრეთ ოსეთის სახელგამმა გამოსცა მისი თხზულებანი ორ ტომად. აღსანიშნავია, რომ მანვე ოსურ ენაზე თარგმნა შ. რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

ომისშემდგომ წლებში გამოვიდა პოეტ გაფეზის წიგნები „ცხოვრება საამურია“, „ამინათი“, „ფარნი“.

ლირიკულობით და მუსიკალობით გამოირჩევა პოეტ გ. ძუგაევის ლექსები. ოსურ საბჭოთა პოეზიაში მნიშვნელოვანი მოვლენაა მისი პოემა „კოსტას კოლმეურნეობა“. ოსურ ლიტერატურას ახალი ნაწარმოებებით ამდიდრებენ მწერლები: კაჯაზაგი, რ. ასაევი, ი. ფილიევი, გ. მამიევი და სხვები. პირველი ოსი მწერალი ქალი ნიგა (ნ. გოლოვანოვა) თავის ლექსებში, პოემებსა და მოთხრობებში ხატავს სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ ოს ქალთა სახეებს.

ოსმა მწერლებმა ი. ცხოვრებოვმა, დ. ჯიოევმა, ვ. სანაკოევმა, ვ. გოლოევმა და რ. ძაგოევმა დაწერეს ნაწარმოებნი, რომლებითაც გამოეხმაურნენ სკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებს.

ოსური ლიტერატურა მდიდრდება მოძმე ხალხთა ენებიდან თარგმნილი ნაწარმოებებით. ოსი მკითხველის სახლში კ. ხეთაგუროვის ნაწარმოებებთან ერთად ნახავთ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ი. ფრანკოს, ნ. ბარათაშვილის, ნ. ოსტროვსკის, ა. ყაზბეგის, ი. კრილოვის, ნ. გოგოლის, ნ. ნეკრასოვის, მ. გორკის, ვ. მაიაკოვსკის, ა. ფადეევისა და სხვათა ნაწარმოებებს. ოსურ ენაზე ორჯერ გამოიცა გ. ლეონიძის ეპოპეა „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“ (თარგმანი კაჯაზაგისა). ოსი მწერლების მრავალი წიგნი თარგმნილია ქართულ ენაზე.

ოს მწერლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაამართლონ კომუნისტური პარტიის ზრუნვა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის და შექმნან ჩვენი ეპოქის შესაფერი ახალი მაღალმხატვრული ნაწარმოებნი. („კომუნისტის“ კორ.).

★ ★ ★

## დიდი ამოცანების წინაშე

ლიტერატურულმა შემოქმედებითმა მუშაობამ აჭარაში განსაკუთრებით ორგანიზებული, სისტემატური ხასიათი მიიღო მწერალთა კავშირის განყოფილების ჩამოყალიბების შემდეგ. თუ საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის დროისათვის ბათუმში თითო-ოროლა მწერალი — ლიტერატორი მუშაობდა, რომლებსაც გამოცემული ჰქონდათ ორი თუ სამი პატარა წიგნი, ახლა მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებაში გაერთიანებულია ათზე მეტი მწერალი და ამდენივე ახალგაზრდა მწერალი, რომ არაფერი ვთქვათ საკმაოდ ფართო ლიტერატურულ აქტივზე. ადგილობრივი გამომცემლობა ყოველწლიურად საშუალოდ ათ მხატვრულ წიგნს უშვებს. სისტემატურად გამოდის ლიტერატურული ალმანახი, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ახალგაზრდა ავტორების შემოქმედებით ზრდას.

ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა აჭარაში მომუშავე მწერლებს საკმაო შემოქმედებითი ნაყოფიერებითაც იცნობს. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მათ 120-ზე მეტი სახელწოდების წიგნი გამოსცეს. მართალია, ყველა ეს ნაწარმოები სრულყოფილი როდია, მაგრამ მათში მაინც ჩანს გულწრფელი მისწრაფება ახალი ადამიანის სახის შექმნისაკენ, ისინი გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობისა და მშვიდობის დაცვის იდეებით.

როცა ადგილობრივ ლიტერატორთა შემოქმედებით ზრდაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მწერალ პარმენ ლორიას. პირველი ყრილობის დროისათვის ნაკლებცნობილი ლიტერატორი ამ წლების მანძილზე ერთ-ერთი პოპულარული ქართველი ბელეტრისტი, ათამდე დიდი ფორმის პროზაული ნაწარმოების ავტორი გახდა. თავისი დაუღალავი მუშაობით მწერალმა შეძლო გამოხმაურებოდა ჩვენი ხალხის ცხოვრების მრავალ უმნიშვნელოვანეს მომენტს. თუ პ. ლორიას პირველი რომანები „ჩაი“ და „დელი მურადი“ („განთიადი ხევში“) მიეძღვნა აჭარაში საკოლმეურნეო ცხოვრების დამკვიდრების, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ასახვას, მომდევნო რომანებში — „მევლუდი“, „საუკუნის დაბადება“ და „ტალღები“ მოცემულია აჭარის მშრომელი მოსახლეობის რევოლუციური ბრძოლის სურათები. დიდ სამამულო ომს ბელეტრისტი გამოეხმაურა ორი რომანით „ალისფერი დილა“ და „ნაირა“.

უფროსი თაობის პოეტებმა ნ. მალაზონიამ და პ. რურუამ, რომელთა პირველი ლექსები ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდს ეკუთვნის, თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობანი ძირითადად უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე გამოამჟღავნეს. ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებს განსაკუთრებით აქტიურად ეხმაურება ნ. მალაზონია.

ამჟამად აჭარაში მომუშავე პოეტების მეტი ნაწილი დაწინაურდა და შემოქმედებითად გაიზარდა დიდი სამამულო ომის წლებში და ომისშემდგომ პერიოდში. ესენი არიან მ. ვარშანიძე, გ. სალუქვაძე, ფ. ხალვაში და ნ. გვარიშვილი. მკითხველი საზოგადოება განსაკუთრებით მოწონებით შეხვდა მ. ვარშანიძის პატრიოტულ ლექსებს, გ. სალუქვაძის ლექსების ციკლს ბათუმის რევოლუციურ წარსულსა და მის დღევანდელობაზე, ფ. ხალვაშის ლექსებს მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის თემაზე, ნ. გვარიშვილის ლირიკულ ლექსებს.

აჭარელი დრამატურგების მიერ შექმნილი მთელი რიგი პიესებიდან მაყურებელმა კარგად მიიღო ვ. კანდელაკის „ამაღლებული სოფელი“ და „უშრეტი წყარო“, ა. შერვაშიძის „ბაგრატიონი“.

მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობისათვის მზადების დღეებში აჭარაში მომუშავე მწერლებმაც გააძლიერეს შემოქმედებითი ინტენსივობა. წელს უკვე გამოვიდა მათი რამდენიმე მხატვრული წიგნი.

გამოვიდა ლიტერატურული ალმანახის მორიგი ნომერი, ვ. კანდელაკის პიესა, გამოქვეყნდა რამდენიმე მხატვრული ნარკვევი საკოლმეურნეო სოფელსა და მის ადამიანებზე.

აჭარაში მომუშავე მწერალთა შემოქმედებას სერიოზული ნაკლოვანებებიც ახასიათებს. ისინი ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ცხოვრებას, მკითხველის გაზრდილ მოთხოვნებს, ხშირ შემთხვევაში სუსტად ან დაგვიანებით ეხმაურებიან ჩვენი სინამდვილის აქტუალურ თემებს. მაგალითად, მათ აქამდე არ შეუქმნიათ რამდენადმე საყურადღებო ნაწარმოები ხალხთა მეგობრობის თემაზე, საბჭოთა ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის შესახებ.

აჭარაში მომუშავე მწერლების წინაშე განსაკუთრებით მკვეთრად დგას მხატვრული დაოსტატების საკითხი. ჩვენში ჯერ კიდევ გამოდის უფერული, მხატვრულად გაუმართავი ნაწარმოებები, რომლებშიც ცხოვრების მოვლენების ღრმა ანალიზი შეცვლილია ზედაპირული აღწერილობით, გმირების სულიერი სამყარო გადმოცემულია გაუბრალოებულად და ზერელედ.

ავიღოთ თუნდაც პ. ლორიას რომანი „მაღაროებში“. მას როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, მრავალი არსებითი ნაკლი აქვს. მკითხველს თვალში ეცემა ნაწარმოების კომპოზიციის პრიმიტიულობა, ხშირ შემთხვევაში მოვლენების მხატვრული გადმოცემის შეცვლა მშრალი თხრობით, მოსაწყენი პუბლიცისტური მსჯელობით.

დრამატურგ ა. შერვაშიძის პიესას „ოქროს სამაჯურები“ სქემატიზმის დაღი აზის, კომპოზიციურად შეკრული არ არის, მოქმედ პირთა ხასიათები გაუხსნელია. პიესა დაწერილია მაღალფარდოვანი, პათეტიკური ენით.

აღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენი მწერლები ჯერ კიდევ სერიოზულად არ მუშაობენ მხატვრული ოსტატობის სრულყოფისათვის, ყოველთვის როდი უგდებენ ყურს ლიტერატურულ კრიტიკას, რომელიც ჩვენში ისედაც მოისუსტებს.

საბჭოთა მწერლის ამოცანაა ღრმად და ნათლად ასახოს სინამდვილე, მართლად და შთაგონებულად დახატოს ჩვენი ეპოქის გმირი — უბრალო საბჭოთა ადამიანი.

იმისათვის, რომ ღირსეულად იდგნენ ამ დიდი ამოცანების სიმაღლეზე, აჭარელმა მწერლებმა, მთელ ჩვენს მწერლობასთან ერთად, მომავალში მეტი ენერგიითა და შემოქმედებითი პასუხისმგებლობით უნდა იმუშაონ.

**ი. რურუა,**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

## „ლიტერატურული ქუთაისი“

საბჭოთა კავშირის მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილებამ გამოსცა ერთდროული გაზეთი „ლიტერატურული ქუთაისი“.

გაზეთში მოთავსებულია გ. სამხარაძის, ო. მამფორიას, დ. ხუროძის, ა. გურჯიძის, ა. სინაურის, რ. ბეროძის, დ. ახობაძის, ს. აბდალაძის, ზ. კუხიანიძის, დ. კვიცარიძის, შ. ნიჟარაძის, ვ. ჯაფარიძის, პ. ასანიძის ლექსები; კ. მეძველიას, მ. ასათიანის, ს. ფხაკაძის, ზ. მესხეთელის, პ. ხმალაძის, გ. დიასამიძის, ვ. ქუთათელაძის, ს. მაღლაფერიძის, დ. ბრეგაძის, რ. კინწურაშვილის, მ. ალავიძის, რ. გაბეჩავას მოთხრობები, ნარკვევები და წერილები.

## ახალგაზრდების შეხვედრა პოეტებთან

გორი. (საკ. კორ.). ქალაქ გორის ახალგაზრდობამ შეხვედრა მოუწყო პოეტებს იოსებ ნონეშვილს და რევაზ მარგიანს. მწერალმა ოთარ ჩხეიძემ მოხსენება წაიკითხა ი. ნონეშვილის და რ. მარგიანის შემოქმედებაზე.

სიტყვები წარმოთქვეს და საკუთარი ლექსები წაიკითხეს გორის ბამბეულის კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა შ. ჯვარიძემ, მესამე საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ ქღენტმა, სტუდენტებმა ძველაიამ, კარტოზიამ და სხვ.

დასასრულ პოეტებმა რ. მარგიანმა და ი. ნონეშვილმა მადლობა გადაუხადეს დამსწრეებს და წაიკითხეს ახალი ლექსები.

საღამოს ესწრებოდა პოეტი ა. მეჟიროვი, რომელმაც წაიკითხა გორისადმი მიძღვნილი ლექსი.

# მაღალი იდეურობისა და ღრმა მხატვრული სიმართლისათვის

თეატრალური ხელოვნება ერთ-ერთი უაღრესად ძლიერი მხატვრული საშუალებაა, რომელიც ემოციურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე და ზრდის მას იდეურად და ესთეტიკურად. ამ ხელოვნების საფუძველია დრამატურგია.

საბჭოთა დრამატურგია შემოქმედებითად ავითარებს წარსულის საუკეთესო კლასიკურ ნაწარმოებთა მოწინავე ტრადიციებს. საბჭოთა დრამატურგიაში ცოცხლობს და ვითარდება სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების ფუძემდებლის მაქსიმ გორკის ტრადიციები, რომელმაც თავის პიესებში მოგვცა სინამდვილის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა ღრმა სოციალურ-მხატვრული განზოგადების მაგალითი, ხალხის ყოვლისმძლე ძალებისადმი მხურვალე რწმენის მაგალითი, მაიაკოვსკის მდიდარი სატირული ტრადიციები, რომელიც მრისხანედ ამათრახებს ყოველსავე ყალბსა და დახავსებულს მშვენიერი მომავლის პოზიციებიდან, კომუნიზმის პოზიციებიდან. თეატრისა და დრამატურგიის განვითარების საქმისადმი კომუნისტური პარტიის გულისხმიერი და მუდმივი ყურადღება ყოველთვის უწყობდა და ახლაც უწყობს ხელს კომუნისტური იდეურობისა და მხატვრული ოსტატობის წარმატებით დაუფლებას, იმას, რომ უკუვაგდოთ ყოველგვარი იდეურად უცხო გამოვლინება ხელოვნებაში და ვიაროთ სოციალისტური რეალიზმის სწორი გზით.

საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის შემდეგ ჩვენმა დრამატურგებმა შექმნეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი. მათ შორის: კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“, „ფრონტი“, რომაშოვის „დიადი ძალა“, გუსევის „დიდება“, პოგოდინის „თოფიანი კაცი“, კრაპივას „ვინ იცინის უკანასკნელი“, აფინოგენოვის „მაშენკა“, იაკობსონის „ცხოვრება ციტადელში“, არბუზოვის „ტანია“, ი. პოპოვის „ოჯახი“, სიმონოვის „ჩვენი ქალაქის ჭაბუკი“ და „რუსი ადამიანები“, ლეონოვის „შემოსევა“, სოფრონოვის „მოსკოვური ხასიათი“, ლავრენევის „გაუმარჯოს, ვინც ზღვაშია“, კრონის „ღრმა დაზვერვა“, ვიშნევსკის „დაუვიწყარი 1919“ და სხვ.

თანამედროვე საბჭოთა დრამატურგების საუკეთესო პიესებში გადმოცემულია ფსიქოლოგია ადამიანისა, რომელიც აღებულია კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, კონკრეტულ ყოფაცხოვრებაში, კონკრეტულ საზოგადოებაში და ცხოვრების პირობებში. დრამატურგის ყურადღების ცენტრშია ადამიანის შინაგანი სამყარო მთელი მისი სირთულით, ყველა წინააღმდეგობით.

ასეთ პიესებში ჩაქსოვილია ცხოვრებიდან აღებული მწვავე, მართალი კონფლიქტები. იქ ნამდვილი სოციალური წინააღმდეგობებით მჟღავნდება ხასიათები. დადებითი გმირის გამარჯვება არა მარტო ამთავრებს პიესების სიუჟეტს — იგი წყვეტს კონფლიქტს, გმობს ბოროტებას, განსაზღვრავს რა ამით ცხოვრების სერიოზულ კანონზომიერებას, რაც დრამატურგმა სინამდვილეში შენიშნა.

სოციალისტურმა მშენებლობამ, კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლამ წარმოშვა მრავალი პიესა, რომლებიც ასახავენ ისტორიულ ძვრებს ხალხის ცხოვრებაში. მაგრამ საბჭოთა დრამატურგიის ერთგვარი წარმატებანი ვერ დაფარავენ მის სერიოზულ ნაკლოვანებებს. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით დიდი ზიანი მოგვაყენა ყბადაღებულმა უკონფლიქტობის „თეორიამ“. საბჭოთა საზოგადოებრიობა, პრესა სამართლიანად უსაყვედურებდნენ ჩვენს დრამატურგებს, რომ ისინი ჩამორჩნენ ცხოვრებას, ლიტერატურის საბრძოლო ამოცანებს. ამ უკანასკნელ წლებში ასეთი ჩამორჩენა განპირობებული იყო სერიოზული და რთული მიზეზებით. მათ შორის უმთავრესია ცხოვრების ცუდად ცოდნა, მთელი რიგი დრამატურგების მოწყვეტა სინამდვილის ცოცხალი მოვლენებისაგან. სუსტი მხატვრული ოსტატობა, თეორიის საკითხების დაუმუშავებლობა. ადვილი როდია ამ ჩამორჩენის დაძლევა. მხოლოდ ცხოვრების გულმოდგინე შესწავლა, ბეჯითი შემოქმედებითი შრომა, პროფესიული ოსტატობის ღრმად დაუფლება მოუტანს ნამდვილ აყვავებას დრამატურგიას, წარმოშობს მაღალიდეურ, დიადი აზრებითა და გრძნობებით გამსჭვალულ, მკაფიო და ძლიერი ხასიათების, მწვავე და მართალი კონფლიქტების პიესებს. პარტიის ისტორიული გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობის ამოცანების შესრულება, შთააგონებს მწერლებს შექმნან დიდი ნაწარმოებნი ჩვენი დროის გმირის შესახებ. თავიანთ ახალ პიესებში დრამატურგები ისწრაფვიან დახატონ ჩვენი თანამედროვე ადამიანის მართალი სახე, გვიჩვენონ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება მთელი სიღრმითა და სირთულით. ამას ამტკიცებს ისეთი პიესები, როგორიც არის ი. ჩეპურინის „გაზაფხულის ნაკადი“, ა. სიმუკოვის „ლამაზი ქალიშვილები“, ა. სოფრონოვის „გული არ აპატიებს“, ა. სალინსკის „საშიში თანამგზავრი“, ა. არბუზოვის „მოგზაურობის წლები“, ი. ბაშის „დნეპრის დაფიონი“, გ. ლებერეხტისა და ფ. ეინბაუმის „ჩვენი წლების დილა“.

დადებითი გმირის სახის შექმნა იყო და არის მთავარი ამოცანა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებისა. რომელიც ცხოვრებას ასახავს. ყველაზე არსებითი, ყველაზე ტიპიური მისი გამოვლინებით. ისეთი სახე, როგორიც მშვენიერის ცნებაა ჩვენს ლიტერატურაში, იძლევა წარმოდგენას იდეალზე, რომელსაც საბჭოთა საზოგადოება ესწრაფვის თავის საზოგადოებრივ და სულიერ განვითარებაში. ეს პრინციპულად ახალი ამოცანა შეიძლება შესრულდეს და კიდევაც უნდა სრულდებოდეს დრამატურგიის ყოველ ჟანრში: ფსიქოლოგიური დრამა, სატირა, კომედია და ვოდევილი მძლავრი იარაღი უნდა იყოს საბჭოთა ადამიანის ახალ მშვენიერ თვისებათა დამკვიდრების და ყოველივე იმ ყალბის, დახავსებულის, დრომოჭმულის მხილების, მოსპობის საქმეში, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას.

ამასთან ცხადია, რომ გმირი, რომელიც ზრდის ადამიანებს თავისი მაგალითით, უნდა იყოს არა მარტო მოქმედების, ქცევის ადამიანი (რაც, რასაკვირველია, სავალდებულოა), არამედ მაღალი ინტელექტისა და ღრმა გრძნობის ადამიანიც, რომელიც ფიქრობს და მსჯელობს ცხოვრებაზე, უნარი შესწევს იფიქროს მოვლენებსა და ადამიანთა ბედიღბალზე, გაკაფოს გზა წინ არა მარტო თავისი ხელის ძალით, არამედ კიდევაც გაანათოს ეს გზა თავისი გონების, მახვილი და შთაგონებული აზრის შუქით. ეს ფართო გონება, გაბედული განზოგადება და სერიოზული ღრმა დაფიქრება ცხოვრებაზე ჯერ კიდევ აკლია ჩვენი პიესების ბევრ დადებით გმირს. მათი აზრები ხშირად ტრიალებს მხოლოდ იმ კერძო კონკრეტული ფაქტის, ლოკალური მოვლენის გარშემო, რომელთა მასალითაც სიუჟეტურად აგებულია დრამატული ნაწარმოები.

რატომ არის, რომ ზოგიერთ პიესაში ადამიანი წარმოების დანამატი ხდება? სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დამკვიდრების სახით, რეალიზმისა, სადაც შრომის ადამიანი წარმოების ცენტრშია, ეს პრინციპები სასტიკად ირღვევა ასეთ პიესებში სწორედ იმიტომ, რომ იქ გამოსახულია არა მშრომელი ადამიანი, ასახულია არა მისი ახალი ფსიქოლოგია, არამედ ჩანს თვითონ წარმოება და ლაპარაკი ამ წარმოებაზე. რა უშლის ხელს დრამატურგებს ღრმად განაზოგადონ და მხატვრულად გამოთქვან მართალი თემები და იდეური ჩანაფიქრი? რასაკვირველია, არასაკმაოდ ღრმა დაუფლება მთელი მდიდარი კომუნისტური იდეოლოგიისა, არასაკმაო დაუფლება ოსტატობისა. პიესის დადებით გმირს უნდა ეკავოს აქტიური შეტევითი პოზიცია, უნდა ამარცხებდეს უარყოფით პერსონაჟებს არა მარტო სამსახურებრივი და უწყებრივი მდგომარეობით. იგი უნდა ამარცხებდეს მათ თავისი გონების ძალით, ცხოვრების საბჭოთა გაგების უპირატესობით. გმობდეს მათ კომუნიზმის მშენებელი დიდი ხალხის პოზიციებიდან.

დადებითი გმირის შექმნის საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ის, რომ საჭიროა ვამხილოთ, სასაცილოდ ავიღოთ და გამოვააშკარაოთ ყველაფერი, რაც კი ყალბი, მავნე, სოციალურად საშიშია ჩვენს სინამდვილეში.

კარგად აქვთ რა შეგნებული, თუ რაოდენ საჭიროა საბრძოლო აქტუალური საბჭოთა კომედიის შექმნა, ჩვენმა დრამატურგებმა დაწერეს ახალი პიესები—კომედიები. ასეთია ვ. მინკოს „გვარის დაუსახელებლად“, ა. მაკაენკოს „ნურას უკაცრავად“, ა. იაკობსონის „ნებრასკელი მფარველი ანგელოზი“, კ. გუბარევიჩის „უბრალო ქალიშვილი“, გ. მუხთაროვის „მხიარული სტუმარი“, მაი ტალვესტის „ჭაობის ეშმაკები“, ნ. ზარიანის „საცდელი მინდორი“ და სხვები. ამ პიესებში არის ცდა სატირულად დასცინონ უარყოფით ტიპებსა და უარყოფით მოვლენებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრ მათგანს არ ჰყოფნის მამხილებელი მრისხანება, ისინი ვერ აღწევენ მაღალ მოქალაქურ პათოსს სოციალური ბოროტების გაბედულად მხილებაში.

სატირული მხილება საბჭოთა კომედიაში განუყრელად დაკავშირებულია ჩვენს ცხოვრებაში დადებითი იდეალის დამკვიდრებასთან, ნაკლოვანებათა მწვავე კრიტიკა — მათი დაძლევის ურყევ რწმენასთან. სწორედ ეს უნდა იცოდეს და ამას უნდა გრძნობდეს საბჭოთა მწერალი, რომელიც სატირულ ნაწარმოებს ქმნის, თორემ იგი აღმოჩნდება ობივატელური ლანძღვის პოზიციებზე.

დრამატურგმა ვ. მინკომ პოემას სატირული სახით შეძლო განეზოგადებინა სერიოზული უარყოფითი მოვლენები, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენს სინამდვილეში. განებივრებული ქალიშვილის ეს სახე, რომელსაც არა სურს იმუშაოს იქ, სადაც გზავნიან, შემკრებლობითი პორტრეტი გახდა ეგოისტი, არასწორად აღზრდილი, პარაზიტულად განწყობილი ახალგაზრდობის იმ ნაწილისა, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მოიპოვება საბჭოთა საზოგადოებაში. პოემას სახესთან მჭიდროდ დაკავშირებულია ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემა, რომელიც აღძრულია ვ. მინკოს კომედიაში. პოემას ხასიათი პიესაში თავისთავად და ოჯახისა და იმ გარემოს გავლენის გარეშე კი არ იქმნება, რომელშიც ის იმყოფება. მეშჩანმა დედამ, ყოყოჩა პასუხისმგებელმა მუშაკმა მამამ, ქარაფშუტა და განებივრებულმა ამხანაგებმა შექმნეს, აღზარდეს და გამოიყვანეს მუქთახორის ეს დასახიჩრებული, საბჭოთა ადამიანებისათვის უცხო ხასიათი. დრამატურგს უნარი შესწევს გვიჩვენოს საზოგადოებრივ-სოციალური და ყოფაცხოვრებითი მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს პოემას სწორედ ასეთი ხასიათის წარმოშობა.

მართალ კომედიებთან ერთად უკანასკნელ ხანს გაჩნდა აგრეთვე კომედიები, რომლებიც უცხოა საბჭოთა სატირის მაღალი აღმზრდელობითი ამოცანებისათვის. ა. მარიენგოფის პიესა „მემკვიდრე პრინცი“; ი. გოროდეცკის „მოღვაწე“ და ზოგიერთი სხვა პიესა ყალბ წარმოდგენას ქმნიან საბჭოთა საზოგადოებაზე, წარმოგვიდგენენ საბჭოთა ადამიანებს გამოსულელებულად და სუსტად, უყრიან თავს უარყოფით მოვლენებს. ყოველივე ეს კი იწვევს უფერულ ნატურალიზმს და ამგვარ დრამატურგიულ ნაწარმოებთა საბრძოლო აღმზრდელობითი როლის დავიწყებას.

ასეთი მავნე და მანკიერი ტენდენციები განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდა ლ. ზორინის პიესაში „სტუმრები“, სადაც დრამატურგმა მიაპყრო რა მთელი ყურადღება უარყოფითი ტიპების ასახვას, ცილისმწამებლურად დაამახინჯა საბჭოთა სინამდვილის რეალური სურათი, საქმე ისე დასახა, რომ თვითონ ეს სინამდვილე წარმოშობს ბიუროკრატებს, მოხელეებსა და კარიერისტებს. ჩვენი დრამატურგიის სასიცოცხლო ამოცანაა დაძლიოს ეს უაღრესად სერიოზული, უაღრესად უხეში შეცდომები.

საბჭოთა დრამატურგების წინაშე დგას მაღალიდეური და მხატვრულად სრულფასოვან ნაწარმოებთა შექმნის დიდი და პასუხსაგები ამოცანა. ამ ამოცანის შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ჩვენი მწერლები გულისხმიერად დაუკვირდებიან ცხოვრებას, შეისწავლიან ამ ცხოვრებას მთელი თავიანთი ტალანტის ძალით, აიმაღლებენ იდეურ-პოლიტიკურ დონეს და გაიუმჯობესებენ ოსტატობას.

**ვლ. პიმენოვი.**

## იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის რეზოლუცია

[illegible]

მთელის, და ჩაფუშონ ყოველი რეაქციული ცდა.

## გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის რეზოლუცია

ბერლინი, 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც დასავლეთ გერმანიის სააგენტო დპა იუწყება, გუშინ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობამ მიიღო რეზოლუცია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ოლენჰაუერის მოხსენების გამო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. რეზოლუციაში ნათქვამია: მთელმა გერმანელმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ არსებობს იმის საფრთხე, რომ მოისპობა ყველა საფუძველი ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკებისათვის თავისუფლების პირობებში გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ. სოციალ-დემოკრატია ბუნდესტაგისა და ფედერალური მთავრობისაგან მოითხოვს მაქსიმალურ ღონისძიებებს, რათა წინააღმდეგობა გაეწიოს გერმანიის გათიშვის დამკვიდრებას. საჭიროა გამოყენებულ იქნას ყოველი შესაძლებლობა იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკების დაწყებას გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია უშენიშვნოდ უჭერს მხარს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკას და სადავო საკითხების მშვიდობიან მოწესრიგებას. იგი იძლევა გაფრთხილებას იმ საბედისწერო ცდის წინააღმდეგ, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის გზით შექმნან მდგომარეობა, რომელიც დიდი ხნით დაუხშობს გზას მაკუპირებელი სახელმწიფოების შეთანხმებას გერმანიის აღდგენის შესახებ. ამით შეიქმნებოდა აგრეთვე საერთაშორისო წინააღმდეგობის ახალი გამწვავების საფრთხე.

## გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების სესია

პრაღა, 13 დეკემბერი. (საკდესი). დღეს გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების სესია.

სესიას ესწრებიან პრემიერ-მინისტრი ვ. შიროკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნოვოტნი, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილეები ი. დოლანსკი და ა. ჩეპიჩკა, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

სესია გახსნა წარსული შემადგენლობის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ზდ. ფირლინგერმა. მან ეროვნულ კრებას წარუდგინა რესპუბლიკის ახალი მთავრობა, რომელიც გუშინ დაამტკიცა პრეზიდენტმა.

ეროვნული კრების დეპუტატებმა კონსტიტუციის თანახმად დადეს რესპუბლიკისა და მისი სახალხო-დემოკრატიული წყობილებისადმი ერთგულების ფიცი.

ეროვნულმა კრებამ ერთსულოვნად აირჩია თავის თავმჯდომარედ დეპუტატი ზდ. ფირლინგერი.

## ატომური იარაღის წარმოებისათვის მზადება დასავლეთ გერმანიაში

რომი, 13 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ავანტიმ" გამოაქვეყნა ბონიდან მიღებული კორესპონდენცია, რომელშიც ნათქვამია, რომ დასავლეთ გერმანიის ფაქტიური სამხედრო მინისტრი ტეოდორ ბლანკი მოლაპარაკებას აწარმოებს მთელ რიგ თვალსაჩინო მრეწველებთან გერმანიის მომავალ შეიარაღებულ ძალთა განსაკუთრებული რაზმების ატომური იარაღით მომარაგების შესახებ.

ბლანკი მოლაპარაკებას აწარმოებს ორ საკითხზე. უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება იმას, რომ დასავლეთგერმანელმა მრეწველებმა მოაწყონ ატომური ქარხნების მშენებლობა და ექსპლოატაცია საზღვარგარეთ, კერძოდ, ესპანეთში. ადენაუერის მთავრობამ უკვე მოახდინა აზრთა გაცვლა ფრანკოს მთავრობასთან და მიიღო მისი თანხმობა, რომ ატომური იარაღის წარმოებისათვის შეიქმნას ესპანეთ-გერმანიის შერეული საწარმოები გერმანელ სპეციალისტთა ხელმძღვანელობით. ამ საწარმოთა პროდუქცია განკუთვნილია დასავლეთ გერმანიის არმიისათვის.

ამავე დროს ბლანკი აწარმოებს მოლაპარაკებას იმის შესახებ, რომ ფედერალურ რესპუბლიკაში მოეწყოს ატომის სამეცნიერო-საკვლევ ლაბორატორიათა ქსელი, რომლებმაც მეცნიერული მონაცემებით უნდა უზრუნველყონ ატომური საწარმოები საზღვარგარეთ და შემდეგში დაიწყონ ატომური იარაღის წარმოება თვით დასავლეთ გერმანიაში.

## პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს სესიაზე

ვარშავა, 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს [illegible]

რეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

დილის სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის მშრომელთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების, მასწავლებელთა საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებმა და სხვა დელეგატებმა.

ვარშავა, 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს სესიის საღამოს სხდომაზე დამთავრდა კამათი ლუი საიანის მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდა 30-ზე მეტი დელეგატი. ევროპის, აზიის, ამერიკისა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყნების პროფკავშირთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ესწრაფვიან კვლავაც განამტკიცონ მშრომელთა მოქმედების ერთიანობა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში, იმ ცდების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ აღორძინებულ იქნას გერმანიის მილიტარიზმი და ევროპაში შეიქმნას ომის საშიში კერა.

დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა მშვიდობისათვის, ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, პროფკავშირული უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლებების დასაცავად და მოსაპოვებლად.

სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ლუი საიანმა. ხვალ სესია მუშაობას განაგრძობს.

ვარშავა, 13 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ დი ვიტორიოს მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი.

პირველი გამოვიდა საფრანგეთის, დასავლეთ აფრიკისა და ტოგოს შრომის საყოველთაო კონფედერაციის პროფკავშირულ გაერთიანებათა საკოორდინაციო კომიტეტის გენერალური მდივანი დიალო სეიდუ. შავ აფრიკას, თქვა მან, 1945 წლამდე არ ჰქონდა არც პროფკავშირული, არც პოლიტიკური უფლებები; პროფკავშირული ორგანიზაციები თითქმის არ იყოდეს პოლიტიკურ და პროფკავშირულ უფლებებს საფრთხე მოელის. ამ უფლებებს ფეხქვეშ თელავენ რეაქციული და კოლონიური მთავრობები. აფრიკის მშრომელებს არაადამიანურ ექსპლოატაციას უწევენ. ისინი ყველაზე დამამცირებელი დისკრიმინაციის მსხვერპლი არიან. ჩვენში მოქმედი ავაზაკური რეაქციული კანონები ჩაგვრის, ექსპლოატაციისა და რასობრივი დისკრიმინაციის კანონებია. დემონსტრაციები აკრძალულია და მათ სასტიკად ახშობენ. ჩვენს პრესას გამუდმებით სდევნიან. ჩვენი პრესის წინააღმდეგ აღძრულ ყოველ პროცესში საბრალდებო განაჩენი გამოაქვთ. მაგრამ, მიუხედავად ძნელი პირობებისა, აფრიკის მშრომელნი იბრძვიან თავიანთი უფლებებისათვის, იციან რა, რომ ისინი მარტონი არ არიან ხალხთა გიგანტურ ბრძოლაში მშვიდობისა და პროგრესისათვის.

ტრიბუნაზეა არგენტინის პროფკავშირთა წარმომადგენელი გ. რივასი. ეჭვი არ არის, აცხადებს იგი, რომ მშრომელთა პროფკავშირული უფლებების ქარტია დიდმნიშვნელოვანი იარაღი იქნება არგენტინელი მუშების ბრძოლაში დემოკრატიულ პროფკავშირულ უფლებათა დასაცავად და მოსაპოვებლად. ჩვენ გავაძლიერებთ მუშაობას ჩვენი მოძრაობის მოსაწყობად, ამბობს არგენტინის დელეგატი, რათა ქარტია ცნობილი იყოს ყველა საწარმოში და მას შეუერთდეს ჩვენი ქვეყნის ყველა ორგანიზებული მუშა, აგრეთვე ყველა პროგრესულად და დემოკრატიულად განწყობილი ადამიანი.

გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა დელეგაციის წევრის საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის ნ. პოპოვას გამოსვლას. მან მხარი დაუჭირა პროფკავშირულ უფლებათა ქარტიის მიღებას. ქარტია, განაცხადა მან, ეჭვი არ არის, მშრომელთა ახალი იარაღი იქნება მათი საარსებო ინტერესებისათვის ყოველდღიურ ბრძოლაში. შემდეგ პოპოვამ აღნიშნა, რომ საჭიროა ქმედითად დაუჭიროთ მხარი ქალებისა და ახალგაზრდობის მოთხოვნებს.

იმაზე, თუ როგორ იბრძვის ესპანელი ხალხი ფრანკოს ფაშისტური რეჟიმისა და ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ თავიანთ სამხედრო ბაზად გადააქციონ ესპანეთი, დამსწრეთ უამბო კატალონიისა და ესპანეთის პროფკავშირთა გენერალურმა მდივანმა ხოსე მოიქსმა. მან განაცხადა, რომ ფრანკოს ფაშისტურმა მთავრობამ ესპანეთი გადააქცია სიღატაკისა და ეკონომიური ჩამორჩენილობის ქვეყნად. მან თავი შეიბოჭა სამხედრო პაქტებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ამერიკის მონოპოლიების სამსახურში ჩააყენა ესპანეთის ეკონომიკა. დღითიდღე უარესდება მშრომელთა ცხოვრებისა და მუშაობის პირობები. მატულობს საქონლის ფასები.

ესპანეთის პროფკავშირებს, აცხადებს მოიქსი, თავიანთ მთავარ ამოცანად მიაჩნიათ გააფართოონ და განამტკიცონ ესპანეთის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის ეროვნული ფრონტი.

შემდეგ სიტყვას ამბობს ალჟირის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ანდრე რიუიზი. ფრანგ კოლონიზატორთა რეჟიმმა ალჟირში, ამბობს იგი, გამოიწვია ის, რომ ამჟამად ალჟირში მილიონ ნახევარზე მეტი უმუშევარია, რომელთაგან უმრავლესობას არასოდეს არა ჰქონია სამუშაო. ალჟირის დელეგატმა მოიყვანა მაგალითები რასობრივი დისკრიმინაციისა, რასაც კოლონიზატორები ახორციელებენ. ალჟირის დელეგაცია მხარს უჭერს მშრომელთა პროფკავშირული უფლებების ქარტიის და აცხადებს, რომ ეს ქარტია დაეხმარება ალჟირის მშრომელებს ცხოვრებისა და შრომის გაუმჯობესებისათვის, პროფკავშირულ და დემოკრატიულ უფლებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ნორვეგიისა და იაპონიის დელეგატები.

ვარშავა, 13 დეკემბერი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური ასამბლეის მე-7 სესიის გუშინდელ საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარის ჯუზეპე დი ვიტორიოს მოხსენების გამო. კამათში გამოვიდნენ: ხუან ალფარო (კოსტა-რიკა), აპოსტოლოს გროზოსი (საბერძნეთი), ირენა პივოვარსკაია (საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობის მშრომელთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანება), კოლი ბოსო (ალბანეთი), მუსტაფა არისი (ლიბანი), მაოა ზეკო (კამერუნი) და სხვა დელეგატები.

## ბრძოლა ბონის მმართველ ბანაკში

ბერლინი, 11 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ცნობილია, ბავარიისა და ჰესენის მხარეთა ლანდტაგების (ადგილობრივი პარლამენტების) და დასავლეთ ბერლინის დეპუტატთა საქალაქო კრების არჩევნებში, რაც ნოემბერ-დეკემბერში მოხდა, გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც პარიზის შეთანხმებათა და რემილიტარიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ადენაუერის პარტიამ — ქრისტიან დემოკრატთა კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პარტიამ, რომელიც მილიტარიზაციის ყველაზე თავგამოდებული დამცველია, არჩევნების მსვლელობაში ყველგან ბევრი ხმა დაკარგა.

ახლა დასავლეთ გერმანიის მმართველ წრეებში ბრძოლა წარმოებს იმ მხარეთა ადგილობრივი მთავრობების შემადგენლობის საკითხზე, სადაც არჩევნები მოხდა. ეს ბრძოლა ასახავს უთანხმოებას პარიზის შეთანხმებებისა და გერმანიის რემილიტარიზაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა — ადენაუერის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის.

დამახასიათებელია, რომ ბავარიის მხარის პოლიტიკური პარტიები — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ბავარიის პარტია, თავისუფალი დემოკრატიული პარტია და სრულიად გერმანიის ბლოკი შეთანხმდნენ შექმნან ბავარიის კოალიციური მთავრობა ადენაუერის პარტიის წარმომადგენელთა მონაწილეობის გაუთვალისწინებლად. დღემდე ბავარიის მთავრობაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ქრისტიანულ-სოციალური კავშირი. ბავარიის პრემიერ-მინისტრი იყო ეჰარდი — ადენაუერის თანამზრახველი პარტიაში. დღემდე დასავლეთ გერმანიის მხარეებში ჯერ კიდევ არ ყოფილა მთავრობა ქრისტიან-დემოკრატთა კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის მონაწილეობის გაუთვალისწინებლად.

დორტმუნდის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ვესტფალიშე რუნდშაუ" ამის თაობაზე წერს: „საერთოდ მოლაპარაკებამ მხარეებში მთავრობათა ჩამოყალიბების შესახებ ცხადყო, რომ იქ აღარ სურთ უსიტყვოდ შეურიგდნენ ბონის უნიფიკატორულ ტენდენციებს. ფედერალურ კანცლერთან ახლო მდგომი წრეების იმ პრეტენზიებმა, რომ ყველაფერი თვითონ გადაწყვიტონ, დიდი გაბოროტება გამოიწვია, ძლიერდება ეჭვები მისი პოლიტიკის სისწორისადმი".

რამდენადმე სხვანაირად წარიმართა დასავლეთ ბერლინის სენატის ჩამოყალიბების საქმე. სოციალ-დემოკრატებმა დასავლეთ ბერლინის დეპუტატთა საქალაქო კრებაში მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და შეეძლოთ დამოუკიდებლად ჩამოეყალიბებინათ სენატი. მაგრამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დასავლეთ ბერლინის მემარჯვენე ზედაფენამ ნებაყოფლობით გადაწყვიტა გაინაწილოს ხელისუფლება ადენაუერის პარტიასთან ერთად. დასავლეთ ბერლინის პარტიების ხელმძღვანელები გამოძახებული არიან ბონში. გაზეთი „ტელეგრაფი" ბონიდან მიღებულ ცნობაში წერს, რომ ბონი ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს დასავლეთ ბერლინის სენატის შექმნაზე და მიზნად ისახავს შექმნას „დიდი კოალიცია", რომელშიც შევლენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ქრისტიან დემოკრატთა კავშირი და „თავისუფალი დემოკრატიული პარტია".

## «პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციისა და გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლის დღე»

რომი, 12 დეკემბერი. (საკდესი). დღეს მთელ იტალიაში იმართება „პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციისა და გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლის დღე", რომელიც მოაწყო იტალიის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის კომიტეტმა. ამ ღონისძიების მიზანია, რაც შეიძლება მეტ მოქალაქეს დაანახვოს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საფრთხე.

მიტინგებსა და კრებებზე გამოვიდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ შეხედულებათა ორატორები.

## ყამირი და ნასვენი მიწებისაკენ



[illegible] რობის მოწოდებამ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს დიად სამშობლოში. ციმბირისაკენ, ყაზახეთისაკენ დაიძრნენ ენთუზიასტთა რაზმები, სამამულო ტექნიკით დატვირთული ეშელონები. ყამირ და ნასვენ მიწებზე დამკვიდრდა კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანი. მისმა მარჯვენამ ახლადათვისებულ მიწაზე უკვე მოიყვანა პირველი მოსავალი. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. წინ უფრო დიდი და საინტერესო სამუშაოებია.

ახალი მიწების ამთვისებელთა შორის არიან საქართველოდან წარგზავნილი სპეციალისტებიც. გუშინ თბილისელებმა მედიცინის მუშაკთა კიდევ ერთი ახალი ჯგუფი — 25-საწოლიანი საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალი — გააცილეს კოკჩეტავის ოლქში (ყაზახეთის სსრ). რამდენიმე დღის წინათ კი გაიგზავნა ამ საავადმყოფოს მთლიანი მოწყობილობა: რბილი და მაგარი ინვენტარი, რენტგენის კაბინეტი, კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია, ინსტრუმენტები, მედიკამენტები. კიდევ რამდენიმე დღე, და ჩრდილოეთ ყაზახეთში მწყობრში ჩადგება ეს საავადმყოფო — საქართველოს მედიცინის მუშაკების წვლილი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონების მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეში.

საავადმყოფო დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. მთავარმა ექიმმა მიხეილ ფიჩხაძემ საბრძოლო ნათლობა 1941 წელს დიდ სამამულო ომში მიიღო. იგი წლების განმავლობაში მტკიცედ იდგა საბჭოთა მებრძოლების ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე, რისთვისაც დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ამხ. ფიჩხაძე მუშაობდა ასპინძის [illegible] ლოსის პირველი საავადმყოფოს ექიმ-ორდინატორი იყო.

ექიმი გიორგი ალფაიძე 1944 წლამდე საბჭოთა არმიის რიგებში იყო, დაბრუნების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1947 წელს დაამთავრა. მას შემდეგ ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება.

— წელს ჩემი მეუღლე ამთავრებს თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს, ისიც ჩამოვა ჩვენთან, ერთად ვიშრომებთ, — თქვა ამხ. ალფაიძემ.

— ზაფხულში კოლეგები ყამირ და ნასვენ მიწებზე სამუშაოდ რომ გავაცილე, გული დამწყდა. მივმართე სათანადო ორგანოებს, და აი ახლა სრულდება ჩემი სურვილი — მეც მივიღებ მონაწილეობას იმ გრანდიოზულ მუშაობაში, რომელსაც საბჭოთა ადამიანები ეწევიან ყამირ და ნასვენ მიწებზე, — გვითხრა ექთანმა ეკატერინე ცინცაძემ.

ძალღონე არ დაზოგონ, ყველაფერი გააკეთონ ყამირი და ნასვენი მიწების ამთვისებელ ადამიანთა ჯანმრთელობის დასაცავად — ასეთია საავადმყოფოს მთელი სამედიცინო პერსონალის გადაწყვეტილება, ასეთი აზრით გამსჭვალულნი გაემგზავრნენ კოკჩეტავის ოლქში ექიმები და ექთნები — ო. მიქანაძე, რ. იაშვილი, ლ. ფხაკაძე, ვ. მიკირტუმოვი, ი. კრიუჩკოვი, ე. გზირიშვილი, მ. გოგოლაძე, ე. ბორეიკო, თ. ანურიევა და საავადმყოფოს მნე ს. ჯიბაშვილი.

გზა მშვიდობისა, ამხანაგებო!

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ე. ცინცაძე, ვ. მიკირტუმოვი, მ. ფიჩხაძე, ს. ჯიბაშვილი, ე. გზირიშვილი, ე. ბორეიკო, გ. ალფაიძე, თ. ანურიევა, მ. გოგოლაძე, ი. კრიუჩკოვი. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 16 და 17 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. აღმოსავლეთის ქარი, მდინარე რიონის ხეობაში ძლიერი, დანარჩენ რაიონებში სუსტი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3-8, დღისით 12-17 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში დასავლეთ რაიონებში ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, აღმოსავლეთის სუსტი ზომიერამდე ქარი; აღმოსავლეთ რაიონებში მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით მცირე ნალექი, სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა—3 გრადუსი სითბო, დღისით 5-10 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 0-5 გრადუსი სითბო.

## ოსური დრამატული წრე

პლეხანოვის სახელობის კლუბთან ჩამოყალიბდა ოსური დრამატული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს ოსური სცენის ძველი მსახიობი ნინო ჯიოევა.

წრეში გაერთიანებული ოსი ახალგაზრდებისათვის კლუბთან ჩამოყალიბდა აგრეთვე ოსური ეროვნული ცეკვების შემსწავლელი წრე.

## საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ლექტორიუმში

15 დეკემბერს საქართველოს კპ თბილისის კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში (ლ. კეცხოველის სახ. ბიბლიოთეკა) მოეწყობა ლექცია თემაზე: „იმპერიალიზმის ლენინური თეორია". ლექტორი დოცენტი გ. მანჯგალაძე.

რედაქტორი ნ. ჟაში.

## დამთავრდა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის მერვე გენერალური კონფერენციის მუშაობა

მონტევიდეო, 11 დეკემბერი. (საკდესი). 10 დეკემბერს მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის მე-8 გენერალურმა კონფერენციამ. კონფერენციის გუშინდელ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ რუსული ენა გამოყენებულ იქნას გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს სამუშაო ენად. წინათ კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება — გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის გენერალური კონფერენციების სამუშაო ენად ჩაითვალოს რუსული ენა.

ინდოეთის რეზოლუციის პროექტს, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ რუსული ენა გამოყენებულ იქნას აღმასრულებელი საბჭოს სამუშაო ენად, მხარი დაუჭირეს ჩილისა და ბირმის წარმომადგენლებმა. კენჭისყრის დროს ინდოეთის პროექტს ხმა მისცა 25 კაცმა, წინააღმდეგ — 17 კაცმა, თავი შეიკავა 14 კაცმა. ამრიგად, რუსული ენა გამოყენებულ იქნება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს სამუშაო ენად.

კონფერენციამ მოიწონა მოხსენება, რომელიც წარადგინა პროგრამისა და ბიუჯეტის საკითხთა კომიტეტმა, განიხილა საკითხები გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის უნივერსალურ ორგანიზაციად გადაქცევის აუცილებლობაზე, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის მე-9 გენერალური კონფერენციის მუშაობის მოწყობასა და მეთოდებზე, რომელიც შედგება 1956 წელს დელიში. პლენარულ სხდომაზე არჩეულ იქნენ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მოხსენებათა კომიტეტის, იურიდიული კომიტეტის, საკონსულტაციო კომიტეტისა და პროგრამისა და ბიუჯეტის საკითხთა კომიტეტის წევრები.

## დამთავრდა ძინინ — ულან-ბატორის რკინიგზის ჩინეთის ნაწილის მშენებლობა

პეკინი, 11 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ხუხ-ხოტოდან იუწყება:

დღეს დამთავრდა მშენებლობა ძინინ—ულან-ბატორის რკინიგზის ჩინეთის ნაწილისა, რომლის სიგრძეა 338 კილომეტრი.

ეს ხაზი მიდის ძინინიდან შიდა მონღოლეთში ჩინეთ-მონღოლეთის საზღვრამდე, სადაც იგი უერთდება ხაზს, რომელიც მიდის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ულან-ბატორში. ეს ქალაქი უკვე დაკავშირებულია საბჭოთა კავშირთან ხაზით, რომელიც უერთდება ტრანსციმბირის რკინიგზას. ახალი ხაზი პეკინსა და მოსკოვს შორის გზას ამცირებს 1.000 კილომეტრით.

ეს პირველი რკინიგზაა, რომელიც გადის შიდა მონღოლეთის ნაკლებად დასახლებულ, უწყლო ველებზე. აქ ახლა შეიძლება დამუშავდეს გამოვლინებული რკინის დიდი საბადოები რაიონში, რომელიც ათობით კილომეტრზეა გადაჭიმული.

ათეულ ათასობით მონღოლი გლეხი და მომთაბარე უზიარებდა გზის მშენებლებს ადგილმდებარეობის ცოდნას, ეხმარებოდა წყლის წყაროების პოვნაში, გადაჰქონდა მასალები თავისი ურმებითა და აქლემებით და თვითონ მუშაობდა მშენებლობაზე.

რკინიგზის მშენებლობაზე გამოიყენეს თანამედროვე სამშენებლო ტექნიკა, რომელიც მოდიოდა საბჭოთა კავშირიდან და ჩინეთის სამრეწველო ცენტრებიდან.

## საქართველოს სსრ ყველა სავაჭრო ორგანიზაციისა და საწარმოს საყურადღებოდ

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ა. წ. 24 სექტემბრის № 1037 ბრძანების საფუძველზე მთელი ხის ტარა (ყუთები, კასრები, საფუთავი მასალა), რაც საქონლისა და მოწყობილობისაგან თავისუფლდება, 15 დღის ვადაში მიზიდულ უნდა იქნას ტარის ჩამბარებელთა საშუალებებით „გლავლესსტროიტორგის" (ხე-ტყისა და საშენი მასალების ვაჭრობის მთავარი სამმართველოს) ბაზებში პირდაპირი დანიშნულებისამებრ ხელმეორედ გამოსაყენებლად.

ტარა, რომელიც რემონტს არ საჭიროებს, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციებს შეუძლიათ უშუალოდ დაუბრუნონ მრეწველობას (მიმწოდებლებს), ხოლო ეს აუცილებლად უნდა გაფორმდეს ხე-ტყისა და საშენი მასალების ვაჭრობის მთავარი სამმართველოს საქართველოს კანტორის საწყობების მეშვეობით.

ტარის არა თავის დროზე დაბრუნებისათვის ხე-ტყისა და საშენი მასალების ვაჭრობის მთავარი სამმართველოს ინსპექცია სავაჭრო ორგანიზაციებს გადაახდევინებს ჯარიმას უდავო წესით და ორმაგად, ახალი ტარის ფასების მიხედვით.

ტარის დაბრუნების შეფერხება აუცილებლად შეაფერხებს მრეწველობის მზა პროდუქციის გაცემას, ხოლო დასაბრუნებელი ტარის დროულად ჩაბარება მაქსიმალურად უზრუნველყოფს მზა პროდუქციის გაცემას.

დასაბრუნებელ ტარას იღებენ ხე-ტყისა და საშენი მასალების ვაჭრობის მთავარი სამმართველოს საქართველოს კანტორის ხე-ტყის სავაჭრო საწყობები.

1. ქ. თბილისში — დიდუბე, რკინიგზის ქუჩა № 2; ნავთლუღი — გუდარეხის ქ. № 1 (ნავთლუღის საკოლმეურნეო ბაზარს იქით)
2. ქ. თელავში — რკინიგზის ხაზთან
3. ქ. ქუთაისში — გორის ქ. № 136, ნინოშვილის შესახვევი № 16
4. ქ. ბათუმში — ფრუნზეს ქ. № 6
5. ქ. სოხუმში.
6. ქ. ფოთში — მოლოტოვის ქ. № 9
7. ქ. მახარაძეში — მოლოტოვის ქ. № 2
8. ქ. ზესტაფონში — წულუკიძის ქ. № 42
9. ქ. სამტრედიაში — ხე-ტყისა და საშენი მასალების ვაჭრობის მთავარი სამმართველოს საქართველოს კანტორის სავაჭრო საწყობი
10. ქ. გორში — კეცხოველის ქ. № 124
11. ქ. წნორში — რკინიგზის ხაზთან
12. ქ. სტალინირში — კალინინის ქ. № 3
13. ქ. ცხაკაიაში — სტალინის ქ. № 118
14. ქ. ხაშურში — რკინიგზის ხაზთან
15. ქ. ზუგდიდში — კიროვის ქ. № 3
16. ქ. ლანჩხუთში — რკინიგზის ქ. № 8
17. ქ. ოჩამჩირეში — კოკინაკის ქ. № 42

მიღება დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე განუწყვეტლივ.

ცნობებისათვის მიმართეთ ხე-ტყისა და საშენი მასალების ვაჭრობის მთავარი სამმართველოს საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, ხეთაგუროვის ქ. № 46, ტელ. № 3-05-66, დამატებითი 37.

მოქალაქე **ზავენ არტაშის-ძე დოვლათიანმა**, მცხოვრებმა ფურცელაძის ქ. № 23, აღძრა საქმე ფურცელაძის ქ. № 13 მცხოვრებ მოქალაქე **გოჰარიკ პეტროსის ასულ ახნოიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ჯადარის გალაქტიონის-ძე ბარამიძემ**, მცხოვრებმა გოგოლის ქ. № 51, აღძრა საქმე პლეხანოვის პროსპ. № 139 მცხოვრებ მოქალაქე **მერი გრამიტონის ასულ ლევიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

## ოპერისა და ბალეტის თეატრი

15 დეკემბერს

პ. ჩაიკოვსკი—**პიკის ქალი**

16 დეკემბერს

რ. გლიერი—**წითელი ყაყაჩო**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შვილები ქეთო, შოთა, აკაკი ოჯახებით იუწყებიან

**რაჟდენ ანტონის-ძე ქინქლაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-XII ზემო ნატანებში (მახარაძის რაიონი).

დედა პელაგია ოჯახით იუწყება

**ვარვარა ონისიმეს ასულ ბულაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18-XII დაბა საჩხერეში. გამოსვენება ჰონქაძის ქ. № 1.

შვილები გენო, არჩილ ოჯახებით იუწყებიან

**გიორგი ქიტესას-ძე სხირტლაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15-XII, 7 ს. გამოსვენება 16-XII, 3 ს. იმერეთის ქ. № 35.

მეუღლე ნინუცა ოჯახით იუწყება

**ნიკოლოზ გიორგის-ძე წერეთლის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15-XII, 7 ს. გამოსვენება 16-XII 3 ს. კოტე მესხის III ჩიხი № 16.

შვილები ნუცა, გიორგი, ილია ოჯახებით იუწყებიან

**ნინო ზაალის ასულ გეგელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15-XII, 8 ს. გამოსვენება 16-XII, 4 ს. კალინინის ქ. № 15.

ჟურნალ „პიონერისა" და „დილის" რედაქციები იუწყებიან

**მარგო იაგორის ასულ ჟუჟუნაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15-XII, 8 ს. გამოსვენება 18-XII, 4 ს. მოსკოვის ქ. № 8.

მეუღლე ოლღა ოჯახით იუწყება

**გრიგოლ ტიმოთეს-ძე ლომსაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-XII სოფელ სხლითში (ხარაგოულის რაიონი).

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება

**ნიკოლოზ მიხეილის-ძე აბდულაევის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 16-XII, 3 ს. უშანგი ჩხეიძის ქ. № 21.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების—3-63-03, 3-82-05 პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84. მრეწველობისა და ტრანსპორტის პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43 კულტურის და ყოფაცხოვრების ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70

უე 19124

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.